

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდგის ცხოვართათვის. იოან. 10—11.
ჰპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული. ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
მოვედით ჩემდა ყოველნი მამურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განვისვენოთ თქვენ. მათ 11 28.


სიბრძნე, მისი საჭიროება წინაობრივი განათლებისათვის, მისი სასიათი და მისი განვითარების საშუალებანი.



მეტად რთული საქმეა კაცის სულის ცხოვნება. იგი სრულდება ღვთის შემწეობით, მადლის ზედგავლენის ქვეშ ერთის მხრით, და მეორეს მხრით, თვით ადამიანის ბუნებრივ ძალთა მოქმედებით. სულის ცხოვნებისთვის აუცილებლად საჭიროა როგორც ღვთის შეწვევა, ისე ადამიანის ნიჭითა დახმარება, კერძოდ, ნებითი ძალა და ღრმა და ნათელი გონება, ანუ უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, სიბრძნე.

ამ ჟამად ჩვენ გვსურს ვიქონიოთ საუბარი მართო ერთ პირობაზე სულის ცხოვნებისა, სახელდობრ გონებრივ ძალაზე, სიბრძნეზე. გვინდა ვილაპარაკოთ ამ საგანზე მისთვის, რომ მრავალნი უარყოფენ ზნეობრივ განუკეთესობის მტკიცე და განუყოფელ კავშირსა გონების წრთენილებასთან; და თუ ვინმე საჭიროდ რაცხს კაცის დაცემულ და განხრწნილ ბუნების გასწორებისთვის გონებრივ განათლებას, მას არ აქვს ნამდვილი წარმოდგენა იმაზე, თუ როგორი გონებითი განათლებაა დასათესებელი და სასარგებლოა საზოგადოდ, ნამეტურ კი ზნეობის თვით განვითარების საქმეში.

ქრისტიანულ დანიშნულების აღსრულება, ბოროტ მისწრაფებათა მოსპობა და სახარების იდელების განხორციელება ძლიერ რთული, ვრცელი და მძიმე საქმეა, და ამ ძნელ საქმეში თავის გართმევა და წარმატება ადამიანს შეუძლია მაშინ, თუ მას,



სხვათა შორის, გონებრივი ძალაც გზას უნათებს. ის აზრი, ვითომც კეთილი, ღვთის მოყვარე კაცი ხშირად ვიწრო, შეზღუდული ქეთისაა, მსჯელობით მოქმედებით ძალას მოკლებულია—ფრიად შემცდარი აზრია. კეთილი კაცი, ქრისტიანე ყოველთვის მაღალ-გონიერია. რათა უფრო ნათლად ცხადვით ის აზრი, რომ ზნეობის განათლებისთვის, სხვათა შორის, აუცილებლად საჭიროა გონებრივი ძალა, ამისთვის შევადგინოთ საზოგადო წარმოდგენა ქვემარტივ ქრისტიანებზე. კეთილ კაცს, ქრისტიანს იმისთანა ადამიანს კი არ ეუწოდებთ, როგორსაც ჩვეულებრივ კეთილ კაცად თვლიან, ესე იგი იმისთანას, რომელიც გულჩვილია, მგრძობიარეა, რომელსაც ადვილად შეაბრალებ თავს და შენს ნებაზე დაიყოლიებ, რომელიც თავისთვის მყუდროდ ცხოვრობს და კაცის წყინებას ერიდება, თრთის და ცრემლებს ღვრის უბედურებაში ჩაეარდნილის დანახვაზე, რომელიც მუდამ გაიძახის: „მე ცოდვილი ვარ, ღმერთო, მიღბინე მე უბადრუკსა, ღმერთმა ცოდვებისთვის დაგვსაჯა“. ყოველ დამოქნარებაზე, დაცხიკებაზე, ლუკმის პირში ჩადებაზე პირჯვარს იწერს, მარზვაში ხორცეულობის სუნსაც კი ერიდება, მაგრამ რომელშიაც ამასთანავე ფარულად ბუღობს თავმოყვარეობა, შური, სიძულილი, რომელსაც უყვარს მოყვის განკიცხვა, რომელიც ვერ ითმენს მტრისგან მიყენებულ გაჭირვებას, და როცა მას ავნებენ, შეავიწროებენ, მაშინ გამოაჩენს ხოლმე თვის ბრწყალებს. კეთილი, ქრისტიანი კაცი ის არის, ვინც ნამდვილ ქრისტიანულ ცხოვრებით ცხოვრებს, ვინც უარყოფს თვის თავმოყვარეობით ბოროტ სურვილებს; ითვისებს სახარებისებრივ თვისებათა, აღნთების სიყვარულით, მშვიდობიანობით და სიხარულითა და გრძობს თვის სულში ციურ სიტკბოებასა, ვინც თვის გარშემო სინათლის და სითბოს სხივებს ფენს, აღამაღლებს, ამხნევებს, ნუგეშს სცემს მისს ირგვლივ მყოფთა და მზად არის საზოგადო ინტერესებს უმსხვერპლოს პირადი ანგარიშები და ინტერესები, თვისი კეთილ-დღეობა და სიცოცხლეც; ვინც დაუღალავად იბრძვის ქვემარტივებისათვის, არავითარ დაბრკოლებას არ უდრკის, უდრტინველ დ ითმენს ყოველგვარ გაჭირვებას და ვერ იჩაგრება, არ ტყდება არცერთ განსაცდელისგან. აი ამნაირი ქრისტიანე რომ გახდეს ადამიანი, ამისთვის, სხვათა შორის, საჭიროა გონებრივი ძალა. კაცის სულიერ

ძალთა შორის: გონებასა, გულსა და ნებას შუა მჭიდრო და დაურღვეველი კავშირი სუფევს; ვერც ერთი მათგანი თვის მოქმედების სფეროში ნაყოფს ვერ გამოიჩენს, თუ დანარჩენი ძალნი მას არ ეხმარებიან. ისინი ყოველ საქმეში თანხმობით უნდა მოქმედებდნენ; ერთი მათგანის სისუსტე შესამჩნევად დაეტყობა ხოლმე დანარჩენ ძალთა, თუ ერთი მათგანი დაჩლიუნგდა, რომელიმე საქმეში სხვა ძალებთან ერთად მონაწილეობას არ ღებულობს, მაშინ იმ საქმეში წარმატება არ არის. ამის გამო, სულის ძალნი ზნეობის განვითარების საქმეშიც ერთმანეთს არ უნდა ჩამორჩენ, ერთი მეორეს უნდა მოეხმარონ, რომ მიზანი მიღწევილ იქმნას. ნების და გულის მოქმედებას უსათუოდ უნდა თანაუძლოდეს გონების მოძრაობა. კარგად რომ ჩაუკვიდეთ ზნეობით განვითარების პროცესს, დაინახავთ, რომ თუ ნების და გულის მოქმედება შეერთებული არ არის გონების მოქმედებასთან, ისე ზნეობრივი განათლება წარმოუდგენელია. გონება ხატავს, ითვალისწინებს ღვთის მცნებათა, კაცის ზნეობით ბუნებ-ის კანონებსა; გული გრძობს მათდამი სიყვარულსა, ილტვის მათკენ; ნება ნდომულობს მათ განხორციელებასა; უნდა შეუდგეს ამ საქმეს, მაგრამ როგორ, აი აქ მას სამსახურს უწევს გონება, ეს მას გზას უნათებს, ასწავლის, რა და როგორ ქმნას. ნება დგება გონების მიერ ნაჩვენებ გზაზე, იჩენს ძალას რომელიმე შემთხვევაში, ბოროტებას სძლევეს და კეთილსა უერთდება. გული ივსება სიხარულითა და კაცს სიტკბოებას გვრის, უფრო და უფრო იყვარებს სათნოებათა და ნებას უფრო ძლიერად მიმართავს ხოლმე კეთილსადმი. გამხნევებული და წაქვებული ნება უნდა შეუდგეს ბოროტებასთან ბრძოლასა, და აქაც გონება ეუბნება მას, თუ როგორ უნდა მოიქცეს იგი, საითკენ უნდა გადაადგას ნაბიჯი. რა თქმა უნდა, რომ თუ გონებამ ნებას კარგად არ უწინამძღვრა, სწორ გზაზე არ დააყენა, მაშინ იგი დამარცხდება, ბოროტებას ვერ სძლევეს და კეთილს ვერ დაუკავშირდება. ამნაირად, პსიხოლოგიური ანალიზი, თვით სულის მოქმედების კანონი ნათლად გვიმტკიცებს, რომ ნების მოქმედების წარმატება დამოკიდებულია გონებაზე, რომ სულის განუკეთესობის საქმე გონების აუცილებელ მონაწილეობით სრულდება.

შემდეგ თვითგასწორებას უნდა წინაუსწრებდეს თვით ცნობა-შეგნება თვის ნაკლულევიანებათა. თვის

ბიწიერ მიდრეკილებათა გამოკვლევისათვის კი საჭიროა ხანგრძლივი, ძალდატანებულ დამყარება ყურადღებისა თვის თავზე, ჩაღრმავება თვის გამომცდელ თვალისა სულის ძირამდის, გარდაშლა მთელის თვის ბუნებისა, გამორკვევა ერთმანეთში ათასნაირად გარდახართულ სულის თვისებათა, შემჩნევა არა მარტო იმისთანა ბოროტ თვისებათა, რომელნიც კაცს პირდაპირ ხედებიან თვალში, არამედ მცირეთაცა, რომელნიც კაცს ხშირად კეთილ თვისებებად ეჩვენებიან, გარდათვლიერება მთელის თვის წარსულის ცხოვრებისა, გამოკვლევა თვითოეულ ცოდვილ მოქმედებისა. ხოლო ამნაირი შრომა მხოლოდ ძლიერ გონებას შეუძლია აიტანოს. ვიწრო ჭკუის პატრონს არ ძალუძს დიდხანს გააჩეროს თვისი ყურადღება საგანზე, ღრმად ჩაუკვირდეს მას; მისი ყურადღება ხტის, ცურავს საგნებზე; მას არ შეუძლია მიუფერებლად გამოიძიოს, გასჩხრიკოს თვისნი მიდრეკილებანი. ჭკუა მოკლე აღამიანი, თუმცა იგი საჩვენებლად სხვასთან აღიარებს, რომ ურიცხვ ცოდვებით დამძიმებულია, მაგრამ გულში კი დარწმუნებულია, რომ ის წმინდის ცხოვრებისაა, ზნეობით სხვებზე გაცილებით მაღლა სდგას, რომ ღმერთს თვისი ყოლთა მასზედ აქვს გადმოფარებული, და იგი ამით მშვიდდება, სიამოვნებს,—მაშინ როცა მის სულში ბოროტება ტრიალებს, რომელსაც იგი თვისი გონებითი სიბრმავისა გამო, თვისი გაუმჭვრეტელობისა გამო ვერ ხედავს. მარტო მახვილ, ნათელ გონების გამჭრიახ თვალადგან ვერ იმალება, ვერ სხლტება ბიწიერება, რაც გინდა მცირედი იყოს იგი. ამიტომაცაა, რომ გონიერი კაცი, რადგან იგი ნათლად ხედავს თვისს ზნეობით უღირსობას, ყოველთვის შფოთავს, დრტყინავს, არ არის თვის თავის კმაყოფილი.

კეთილ მიზნის მისაღწევად, რომელიმე ბიწიერ სურვილის მოსაკვეთად და რომელიმე სათნოების შეთვისებისათვის უნდა ამოვირჩიოთ ნამდვილი, შესაფერი საშუალება. ადვილად შეიძლება მოხდეს, რომ იმისთანა საშუალება ვიხმაროთ, რომელმაც, ყოველივე მოლოდინის გარეშე, იმის მაგიერ რომ კეთილისადნი მიგვიყვანოს, ცოდვაში ჩაგყაროს. ამიტომ აღამიანს კარგი გამჭრიახობა და შორსმხედველობა ეჭირება, განსაღზვროს, რომ ამა და ამ საშუალებას სწორედ ეს და ეს შედეგი მოჰყვება. კაცს ყოველივე მოქმედებაში ღიდი სიფრთხილე

და წინდახედულება მართებს. ის თვითოეულ ფეხის გადადგმაზე უნდა გასჯიდეს ეს და ეს მოქმედება მას ცოდვამდის ხომ არ მიიყვანს. ცოდვას წინაუძღვის აზრთა, გრძობათა, სურვილთა და საქციელთა გრძელი წყება. ამ წყების პირველ დაწყებითი აზრები, გრძობები, სურვილები და მოქმედებანი ხან-დის-ხან არ არიან ბიწიერნი, ანუ არიან ზნეობრივად განურჩევლნი, მაგრამ მათ დაბოლოს ბოროტება მოსდევს, და თუ აღამიანმა ამ თავდაპირველ აზრებს, გრძობებს, სურვილებს თვის სულში ადგილი მისცა, მაშინ ძნელიაა მისთვის ცოდვილად თავის დახსნა. ამიტომ კაცი თავითვე უნდა ერიდოს იმისთანა საქციელსა, რომელიც თუმცა არ არის დასაძრახი, მაგრამ კაცს ბოროტებას უახლოვებს. ხოლო იმის გამოცნობა, რომ ამა და ამ საქციელს ცოდვა არ მოყვება, არის საქმე მახვილ გონებისა.

აღამიანი ცხოვრებს საზოგადოებაში, მას დამოკიდებულება აქვს სხვა-და-სხვა პირებთან. მას ჰყავს ცალი, შვილები, ნათესავები, ნაცნობები, უმფროსები, ხელქვეითნი, მოყვსები და ის უნდა დაუკვირდეს და განსაზღვროს, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა იქონიოს ყველა ამებთან, რათა მისი ზნეობით სრულ ყოფის საქმე არ დაბრკოლდეს? ვის რისთვის და როდის უარი უთხრას მათ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, ვის და რა შემთხვევაში სიყვარულით მოეკიდოს—აი რაზე უნდა ფიქრობდეს მუდამ კაცი, რადგან, სხვათა შორის, ამ კითხვების რიგიან ახსნაზე დამოკიდებული თვით-განუმჯობესობა. ხოლო ამ კითხვებზე ჯეროვან პასუხის მიცემისათვის საჭიროა ნათლოვანი აზროვნება, ღრმა ჭკუა. ხშირად აღამიანი თვის უგზურის ქცევით ვნებს თვის ძმას და ამას კი იგი თვის გაუმჭვრეტელობისა გამო ვერ ამჩნევს, პირიქით კეთილ საქციელად თვლის; მხოლოდ დაბოლოს, როცა მის რეგნური ქცევის ნაყოფი ყველასთვის ცხადად გამოჩნდება,—ცნობს თვისს სიგლახეს და იწყებს წუხილს, შფოთავს, თავის-თავს ამტყუნებს, და ესეთი სულის მდგომარეობა მას ხელს უშლის ზნეობით განვითარების საქმეში, მაგ. მამა თვისს შვილებს ანუ ნამეტანს ეფერება, ანებირებს, ყოველივე მათ წვრილმან წადილს აკმაყოფილებს, ანუ მეტის-მეტ სასტიკად ეპყრობა მათ, აკლებს მათ აღერს, მუდამ ურისხდება, უშლის მათ გართობას, მხიარულებას, ტოლ ამხანაგებში ღროს გატარებას. როცა მისის ამნაირ



რეგულური ქცევის შედეგი გამოჩნდება, ესე იგი, როცა მისი შვილები გამოვლენ ზნეობით გაფუჭებულნი, დამახინჯებულნი, შეიქმნებიან ურჩნი, შეუპოვარნი, თვისს მშობლებს ბევრს უსიამოვნებას მიაყენებენ და მუშტებსაც კი მიუღერენ, მაშინ ის იწყებს მწუხარებას, გოდებას, დაუწყებს თვისს თავს ყვედრებას. ხოლო ამნაირ მდგომარეობაში მყოფ კაცს არ შეიძლება ხელი არ შეეშალოს ზნეობით განათლების საქმეში.

კაჭახიძე.

შემდეგი იქნება.

ივერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატების საბანგაზო კრებაჲ ქ. ქუთაისში მაისის 31 ღ ივნისის 1 ღ 2 რიცხვებში



ამღვდლოების წინანდელ კრებაზე დეპუტატებმა დანიშნეს კამისია, რომელსაც რიგიანად უნდა შეემუშავებია ეპარქიალური სამ-კლასიანი სასწავლებლის ექვს კლ.საანად გადაკეთების საქმე და გამოენახა წყაროები მოსალოდნელი მეტი ხარჯების დასაფარავად, რომ სამღვდლოებას კიდევ ახალი ხარჯი არ დასწოლოდა ხსენებული სასწავლებლისა. კომიტეტი შედგომია თავის საქმეს, მაგრამ მაგდენი არა გაუკეთებიარა. კამიტეტის წევრნი ამტკიცებდენ, რომ ამ სამ-კლასიანი სასწავლებლის ექვს-კლასიანად გადაკეთებას ოთხი ათას ოთხასი მანეთი დაჭირდებაო, მაგრამ ხარჯის დასაფარავი წყაროების გამონახვაში კი ძლიერ სისუსტე გამოეჩინა. მაგალითებრ, სხვათა შორის, კამიტეტი თავის ანგარიშში ერთ წყაროდ უჩვენებდა სანთლის ქარხნის გამგეობისთვის ჯამაგირების შემოკლებას. სანთლის ქარხნის გამგეობაზე იხარჯება სულ შვიდასი მანეთი. კომიტეტის თავსმჯდომარეს აქვს 300 მ., ორ წევრს თითოს ას ასი მანეთი და კანტროლერს 200 მ. როგორ უნდა შეემოკლებია სამღვდლოებას ეს ხარჯი, ეს კი არ ვუწყით. მართალია, ერთი ორიოდე დეპუტატი აცხადებდა,

რომ ჩვენ სამას მანეთად დაედგებით და ყველას თანამდებობას აღვასრულებთო, მაგრამ ზოგიერთმა იქნება სულაც არაფერი ითხოვოს, ოღონდ ეს შემოსავლიანი საქმე ხელში იგდოს!..

სამღვდლოების კრებამ სხვა-და-სხვა მოფიქრების შემდეგ გარდასწყვიტა ათას-ცხრაასი მანეთის გაწერა შექმნილ ეკლესიებზე მთელს ეპარქიაში. და ს. ზოგადოდ 00 მ. ყველა ეკლესიებზე. დეკ. დავითიამბაშიძემ როგორც სანთლის ქარხნის გამგე კამიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ორი ათას მანეთს გარდა, რომელიც დღეს ეძლევა სანთლის ქარხნიდან საქალებო სასწავლებელს, კიდევ მიეცემა ათასი მანეთი იმ პირობით, თუ სამღვდლოების კრება ყურადღებას მიაქცევს მის მიერ სანთლის ქარხნის ოპერაციის გაუმჯობესობისათვის წარმოდგენილ მოსაზრებათა. ამ ნაირად დაბოლოვა კრებამ დღევანდელი ეპარქიალური სასწავლებლის ექვს-კლასიანად გადაკეთებას საქმე.

სასწავლებლის ინსპექტორმა ითხოვა, რომ დღესვე გახსნილ იყო ექვსივე კლასი, რადგან ყოველ კლასში, თითქმის, ნახევრობით სუსტები არიანო, მაგრამ ეს ერთის მხრივ დასაჯერი არ არის და თუ მართლა ნახევრობით მოსწავლენი კლასებში სუსტები, არიან, ეს არ ამტკიცებს მასწავლებელთა საქმისადმი ერთგულებას და მათი მოვალეობის რიგიანად აღსრულებას. ზოგიერთი დეპუტატები, თითქმის, თანახმანი იყვნენ, რომ ამ წელშივე გახსნილიყო ყველა კლასები, მაგრამ მათ არ იციან საქმის გარემოება და დაიმედებულნი არიან, რომ მომავალ წლებში 4400 მან. მეტი ხარჯი სამღვდლოებას ვითომ აღარ მოეთხოვება ამ სასწავლებლის შესანახად!!.

როგორც მკითხველი ხედავს, ამ კრებას, მაინცა და მაინც, ისეთი საქმე არა ჩაუდენიარა, რომ მართლა ოქროს ასოებით დაიწეროს ამ კრების დეპუტატების სახელები, როგორც ერთი დამსწრეთაგანი სწერს „ივერია“-ში. ორი ათასი მანეთი ეკლესიებზე გაწერილი და ყველა ეკლესია შემოიტანს თუ არა, ესეც ღმერთმან უწყის. ბოლოს რომ სამღვდლოებას უთხრან, რადგან ეკლესიებიდან არ შემოდის ეს ფულები, თქვენ გადაიხადეთო, მაშინ სულ სხვა გარემოებაში ჩავარდება საქმე..

გაზეთი „ივერიის“ კორრესპონდენტი — კრებაზე დამსწრე მღვდელი, სწერს, რომ ეს კრება შესანიშნავი იყო და ამ კრების ყველა დადგენილობანი ოქ-



როს ასოებით უნდა აღიბეჭდოსო. მართლაც ეს უკანასკნელი კრება, როგორც ჩვენც ვსწერდით ამას წინათ, შესანიშნავი იყო თავისი მოქმედებით. ამ კრებას ორი კითხვა ჰქონდა გადასაწყვეტი. ერთი კითხვა, ე. ი. სამ-კლასიანი სასწავლებლის ექვს-კლასიანად გადაკეთების შესახებ როგორ გათავდა, მკითხველო, კარგად იცით. ამ კითხვის გარდაწყვეტისათვის თანახმად უწმიდესი სინოდის წინასწარ განჩინებისა სამღვდელოების კრებას მაინცა-და-მაინც დიდი სამსახური არა მიუძღვის რა, ვინაიდან სამღვდელოებას მადლობის მეტი არა ეთქმისრა და მართლაც კრებამ ერთხმად გარდასწყვიტა მადლობის მოხსენება ვისდამიც ჯერ იყო.

არის მეორე კითხვა, მართლდაც საეკლესიო და სეროიზული და მეტის მეტად საინტერესო სამღვდელოებისათვის. ეს კითხვა გახლავთ მოხსენება სარევიზიო კომიტეტისა, რომელიც წინადელმა კრებამ დანიშნა თანახმად დეკ. დ. ღამბაშიძის თხოვნისა სანთლის ქარხნის დასახედავად და ჯეროვანი რევიზიის მოსახდენად. კომიტეტის წევრებად იყვნენ მღვდელნი ტ. კაპანაძე, ვასილ დოლაბერიძე და ირაკლი ბაკურაძე. აი ამ კომიტეტის მოხსენებამ გამოიწვია კრებაზე გრძელი ბაასი და ბოლოს უფრო გააზვიადა ეს კითხვა კომიტეტის ორი წევრის მღ. ფილიპე ფხაკაძის და სპირიდონ ლეკვეიშვილის განცხადებამ, რომელიც მათგანვე იქმნა წაკითხული ამ კრებაზე.

ბოდიში უნდა მოვითხოვოთ იმისთანა მკითხველთან, რომელთაც არ ეინტერესებათ სანთლის ქარხნის წარმოების საქმე. მაგრამ ბოდიშის მოხდა არ უნდა დაგვიკრდეს იმერეთის ეპარქიის და აგრეთვე სხვა ეპარქიის სამღვდელოების წინაშე, რადგან სანთლის წარმოების საქმე ყველა სამღვდელოთათვის მეტად საინტერესოა:

სამღვდელოების წინა კრებაზე, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, დეკ. დავით ღამბაშიძემ სთხოვა კრებას დაენიშნათ სარევიზიო კომიტეტი შესატყობად როგორც სანთლის ქარხნის მდგომარეობისა ისე ზოგიერთ ცვლილებათა მოსახდენად სანთლის ქარხანაში სანთლის ქარხნის გასაუმჯობესებლად. სამღვდელოების კრებამ დანიშნა სამი პირი, რომელთაც დიდი პირადი უკმაყოფილება ჰქონდათ დეკ. დ. ღამბაშიძესთან, გარდა ერთისა. ამ კომიტეტმა გადაათვალიერა სანთლის ქარხნის მხოლოდ 1898 წლის

წიგნები და თავისი შენიშვნები წარუდგინა საგანგებო კრებას.

საზოგადოდ მიღებულია ყოველგან, რომ როცა რევიზიას მოახდენენ რომელიმე დაწესებულებაში, თუ რამე უწყსოება ანუ შეცთომა აღმოაჩინეს, სარევიზიო კომიტეტის წევრნი სანამ თავის ანგარიშს შეადგენდენ მოსახსენებლად, პასუხს მოთხოვენ გამგე პირთ ამა თუ იმ საგნის შესახებ და თუ პასუხი დასაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა, მაშინ თავიანთ მოსაზრებას მოახსენებენ მათ, ვინც მათ მიანდო რევიზიის ან შემოწმების მოხდენა. მაგრამ სარევიზიო კომიტეტის წევრები ამ შემთხვევაში სულით და გულით მხოლოდ იმას ცდილობდენ, რომ როგორიმე გზით შეცდომები და უწყსო მოქმედებანი აღმოეჩინათ და ამით მიეღწიათ თავის მიზნისათვის. როგორც ეს კომიტეტი ისე ოციოდე დეპუტატი ნათესაობით და მეგობრული კავშირით ერთი მეორესთან გადაბმულნი ერთად ცდილობდენ, რომ როგორიმე გზით სანთლის ქარხნის გამგეობა დაეთხოვათ და თავიანთი მოკეთე და მონათესავენი დაეყენებიათ. მაგრამ ამის მოხდენა ძნელი იყო, თუ ორი წევრი სანთლის ქარხნის კომიტეტისა მამა ფ. ფხაკაძე და მღ. ს. ლეკვეიშვილიც არ მიემხრობოდენ ზემოთ მოხსენებულ დეპუტატებს, რომ მათი დახმარებით დაეთხოვნათ თავსმჯდომარე კომიტეტისა. ამ მიზნის მისაღწევად არაფერი არ დაუზოგავთ ზოგიერთებს...

1 ივნის თავსმჯდომარემ გამოაცხადა, რომ იგი წაუკითხავს კრებას სარევიზიო კომიტეტის მოხსენებას სანთლის ქარხნის მდგომარეობის შესახებ და ამ წაკითხვის შემდეგ დახურავს კრებას, მეორე დღეს კი იქონიებს მსჯელობას ამ საგანზე. როგორც გამოაცხადა ისე აღასრულა. მეორე დღეს 2 ივნისს კრების გახსნის შემდეგ კიდევ წაიკითხა კომისიის მოხსენება.

ამის შემდეგ მე ჩემით აღარას ვიტყვი. მოვიყვან მხოლოდ იმას, ვინც რა სთქვა და მკითხველმა თვითონ განსაჯოს და თავისი აზრი შეადგინოს.

დეკ. დ. ღამბაშიძე. მამაო სპირიდონ (წევრი სანთლის ქარხნის კომიტეტისა) მე თქვენი საქციელი ძლიერ მაკვირებს. თუ ჩვენი ამხანაგი ხართ, რატომ ჩვენთან არა ხართ. რა მიზეზია, რომ ასე შორს დამ-

მუდარხართ ჩვენგან. კომისიის მოხსენება, ვგონებ, ყველას შევკვებება.

წკკ. სან. ქარ. კამ. კომ. სპ. ლეკვეიშვილი. არაფერია, რომ ასე შორს ვზივარ თქვენიდამ, აქედანაც შემიძლია ლაპარაკი, როცა საჭირო იქნება.

დეკ. დ. ღამბაშიძე. რას იტყვით თქვენ იმ შენიშვნების შესახებ, რასაც სწერენ თავის მოხსენებაში სარევიზიო კომისიის წევრები?

მდ. ს. ლეკვეიშვილი. არაფერის თქმა არ შემიძლია. მე თუმცა ვიყავი წევრად დანიშნული თქვენთან, მაგრამ მე არაფერზე არ მიმიშვით სამუშაოდ, არაფერი არ მეკითხებოდა, ამისათვის არავითარ პასუხს არ ვაგებ არავის.

დეკ. დ. ღამ—ძე. თქვენ რას იტყვით, მამაო ფილიპე? (მეორე წევრი სანთლის ქარხნის გამგე კომიტეტისა).

მდ. ფ. ფხაკაძე. მეც იმას განვაცხადებ, რაც სთქვა მამა ს. ლეკვეიშვილმა.

დეკ. დ. ღამბაშიძე. ეხლა მე მთლად დავრწმუნდი იმაში, რასაც ვფიქრობდი თქვენ შესახებ ამ ერთი თვის წინათ. კანონისაგან აი სწორედ ამიტომ არის აღკრძალული ორი ნათესავის ერთად სამსახური. ერთი ერთმანეთს მისცემენ პირობას და ყოველთვის თავის ნათესავისთვის იზრუნებენ და საქმის სარგებლობას არ დაეძებენ. მე ძლიერ მიკვირდა, რომ ამ ცოტახანში ასე დაუახლოვდით სარევიზიო კომიტეტის ორ წევრს და ნიადაგ მათთან ერთად მუსაიფობდით. ეხლა ცხადია ყველაფერი. მე ეხლა ვრწმუნდები, რომ თქვენ ჩემი ამხანაგები, ჩემთან ერთად უღლის გამწევი კი არ ყოფილხართ, არამედ ხელის შემშლელნი და საქმის დამაბრკოლებელნი. ამას ცხადათ გამოაჩენს საქმე და მე მზათ ვარ სარევიზიო კომისიის ყველა შენიშვნებზე პასუხი ვაგო, თუ კრებას სურს ნამდვილი საქმის შეტყობა და მომისმენს.

(შემდეგი იქნება)



დღევანდელი გაზივირებული მდგომარეობა
სამეკლესიო სანთლის ქარხნებისა სანთლის
ცვილის გაზივირებისა გამო.

რუსეთის იმპერატორის პეტრე დიდის დროიდან ამ უკანასკნელ დრომდე საეკლესიო სანთლის ქარხნების შესახებ არსებობდა ერთნაირი კანონმდებლობა. მართალია დრო და დრო გამოდიოდენ სოლმე განმარტებითი უქსებები უწ. სინოდისაგან საეკლესიო ქარხნებში წმინდა სანთლის დამზადების შესახებ მაგრამ ერთნაირი წესდებულება სუფევდა. 1867 წლიდან, როცა სასულაერო სასწავლებელთათვის ახალი წესდებულება გამოიცა, სანთლის ქარხნების წარმოების საქმე გაცხოველდა, სანთლის ვაჭრობა გაგრცეელდა, სანთელს ფასი დაეღვა. ამისათვის გამრავლდენ კერძო ქარხნები, რომლებშიაც იწეეს უაღბი სანთლის დამზადება. უაღბმა სანთელმა დიდი მეტოქობა დაუწყო საეკ. წმინდა სანთლის ქარხნებს და ბოლოს, თითქმის, სავაჭრო ბაზრიდან უპირებდა განდევნას წმინდა სანთელს. მაგრამ ღვთის მადლით მალე მიიქციეს უურადღება უაღბ სანთელს. მართალია, იაფად ეიდულობდენ უაღბ სანთელს, მაგრამ ამ იაფდ ნაყიდმა სანთელმა მთლად გააფუჭა ეკლესიებში ყოველივე მორთულობა და მასთან ისეთი კორიანტელი დააქენა, რომ მლოცველებს სული შეუხუთა ეკლესიებში. მალე მიხვდენ, რომ უაღბი სანთლის ხმარება ეკლესიაში საზარალი იყო. მაგრამ ამისთვის საჭირო იყო კანონმდებლობის მეცვლა. სასინარულოდ ყოველთა 1890 წელში უმაღლესად გამოიცა კანონმდებლობა, რომლითაც ფრთები შეეკვეცა

ყალბი სანთლის დამამზადებელ კერძო ქარს-
ნებ'...

ამ დროიდან, ე. ი. 1890 წ. საეკლესიო სანთლის საქმე გაუქმდებოდა. კერძო ქარსნებში ჩამოსხმული სანთელი თვისებითაც, ფერთაც და ზომითაც შესაძინევად განსხვავდებოდა საეკლესიო ქარსნებში დამზადებული სანთლისაგან. საეკლესიო სანთელში სხვა რაიმე ნივთიერების შერევა სასტიკად იქმნა აღკრძალული, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ ეს კანონმდებლობანი არა თუ უბნალო სოფლის მცხოვრებთა, ზოგიერთ ალაგას ადმინისტრაციის მოსამსახურე პირთაც არა აქვსთ კარგად შეტყობილი.

თუმცა ახლად გამოცემულმა კანონმდებლობამ ხელი შეუწყო საეკლესიო სანთლის ქარსნებში სანთლის ვაჭრობის საქმეს, მაგრამ, მეორეს მხრით, საქმე გააძინელა ამ წესდებულებამ, ვინაიდან სასტიკად არის აღკრძალული წმინდა სანთელში სხვა რაიმე ნივთიერების შერევა. რადგან წმინდა სანთლის წარმოების საქმე თან-და-თან ვრცელდება, ამისათვის საჭიროა დიდძალი ცვილი, რომლის მოიხანა თანდათან ძნელდება. სანთლის ცვილი, რომელიც წინედ 18—20 მ. ღირდა ფუთი, დღეს ფუთი იყიდება 22—24 მ. ჩვენ მსარეში წმ. სანთლის ცვილის ფასი ასე ძალიან არ აიწევდა, რომ რუსეთის ეპარქიებიდან არ მოეთხოვნათ სანთლის ცვილი; წელიწადში რუსეთისკენ გააქვს ჩვენი კუთხიდან 4—5 ათასი ფუთი ცვილი. ამ კარემოებამ გააძვირა ჩვენში სანთლის ცვილი.

როგორც ანგარიშებიდან აღმოჩნდა, ქუთ. ეპარქ. სანთლის ქარსანას წარსულს 1898

წელში უყიდნია 576 ფუთი ცვილი, რომელშიაც მიუცია 13,221 მან. 381 ფუთში მიუციათ 9029 მან. ფუთი საშუალო რიცხვით დამჯდარა 23 მან. და 41½ კ. და 190 ფუთში 4,192 მ., ფუთი საშუალო რიცხვით დამჯდარა 21 მან. და 46 კ. სანთლის ქარსნის კამიტეტი ბევრი ეცადა, რომ საჭირო ცვილის დამზადება იჯარით გაეცა გარეშე პირს, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. კაცი არ აღმოჩნდა, რომ თავს იდვას სანთლის ქარსნისათვის წმიდა ცვილის მოტანა 24 მანეთად, არიან მსურველები, რომელნიც თანახმანი არიან, რომ 24 მანეთად მოიტანენ ცვილს, მაგრამ ამ მოტანილი ცვილის შემოწმებას თავიანთ თავზე არ ღებულობენ. სანთლის ქარსნისათვის კი შეუძლებელია უოველი ცვილის ორკოს შემოწმება ქიმიურად, რადგან ეს შემოწმება დიდ ხარჯს მოითხოვს სანთლის ქარსნისაგან.

იმერეთის ეპარქიის სასულიერო მთავრობა აპირებს მოახდინოს განცხადება და მოიწვიოს მსურველი, რომელთაც თავს უნდა იდვას სანთლის ქარსნისათვის წმინდა ცვილის დამზადება იჯარით, ჩვენ არ ვუჭირებთ, რომ 24 მანეთად ვინმემ თავს იდვას ნამდვილი წმიდა ცვილის დამზადება და ისიც 600-700 ფუთსა წელიწადში. შეიძლება ვინმე მსურველი აღმოჩნდეს და ეს საქმე იდვას თავს, მაგრამ აუცილებლად საჭიროა, რომ ამ პირს მოეთხოვოს 2—3 ათასი მანეთი გარანტია. რომ თავის დროზე ცვილი ექნეს ქარსანას. ეოველ შემთხვევაში დღემდის ქარსანა მოკლებული იყო სანთლის ცვილის ეიდვაში, რადგან საშუალო რიცხვით ფუთი უჯდებოდა ქარსანას 23 მან. 30 კ. 24 მანეთად რომ გაიცეს ფუთი



ცვილის დამზადება, მაშინ ქარხანას დღეინ-
 დღეზე 403 მანეთით მკირად დაუჯდება. და
 თუ 25 მანეთი მისცა ფუთ ცვილში, როგორც
 ამას ითხოვენ სოფიერები, და ისიც არაკარგი
 კარანტით, მაშინ სანთლის ქარხანა იზარა-
 ლებს 980 მანეთსე მეტს. ამ ცოტა სანძი მო-
 იწვევენ სანთლის ცვილის იჯარით ამდებშირთ
 და რას იტყვიან ეს ჰიწნი და ან რა ჰიწო-
 ბით აიღებენ ფუთი ნამდვილი ცვილის დამზა-
 დებას ქარხნისათვის, ამას თავის დროზე ვაწ-
 ნობებთ ჩვენს მკითხველებს. დღეს-დღეობით
 ერთი ამისთანა მსურველი ჰიწი უკვე არის,
 რომელიც თავის თხოვნაში აცხადებს, რომ
 თავისი ჰიწობის აღსრულების კარანტით
 მზად არის შემოიტანოს ერთი თუძანი!..

დკბ. დ. დამაშაძე.

მრავალი არიან გარდაცვლილი ჰიწნი, რომელთა
 ცხოვრების და მოღვაწეობის აღწერა და გამოკვეყ-
 ნება დიდ სარგებლობას მისცემდა შთამომავლობას.
 მაგრამ, სამწუხაროდ, სოფიერთი ჰიწნი სრულებით
 არ ცდილობენ თავის დროზე დაუტოვონ შთამო-
 ებას ყველა ის, რაც მათ გარდახდიათ თავს და სოფთ კი
 სრულებითაც არ უნდათ, რომ თავისი ცხოვრება
 დაუსურათონ შთამომავას. სოფი კი იქნობამდისინ
 არის გატაცებული მეტიწრობით, რომ მზათ არის
 ყოველი თავისი ნაბიჯი აღწეროს და დაუტოვოს
 შთამომავას იმ შემთხვევაშიაც კი, როცა ერთი გრო-
 ში — კავიკის სარგებლობის მოტანაც კი არ შეძლე-
 ბია მთელი თავისი ცხოვრების დროს.

ამ მოსაზრებათა გამო ჩვენ განვიზრახეთ ჩვენი
 თავდადასავალი დაუტოვოთ ჩვენ შვილთა, მონათე-
 სავეთა და ნაცნობთა. შეგვიძლია გაბედვით ვსთქვათ,
 რომ წამკითხველი არასოდეს არ იტყვის, რომ ჩვენი
 ცხოვრების ისტორიის წაკითხვა დროს დაკარგვა
 იქნეს. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მკითხველი
 ყოველთვის ისურვებს, რომ სხვასაც წააკითხოს ჩვენი
 წერილები. ბევრს იმისთანა რამეს გაიგონებს ჩვენი
 მკითხველი და ბევრს იმისთანა რამეს ნახავს ჩვენს
 ცხოვრებაში, რომელიც ფრად გააკვირვებს მას და
 მიბაძვის სურვილს აღძრავს მასში. რაიცა შეეხება
 გამოცდილების შექენას, ამაში ეჭვი არავის უნდა
 ჰქონდეს, ვინც უნდა იყოს და რა წოდების კაციც
 უნდა იყოს იგი.

მეტი წინასიტყვაობით აღარ შევაწუხებთ მკით-
 ხველს, ჰირდაპირ საქმეს მივდგებით. ღმერთო, ისმინე
 ჩვენი ვედრება და მოგვანიჭე შეძლება, რომ ჩვენი
 დანაპირები პატიოსნურად აღვასრულოთ.

ჩემა ბავშვობის დრო.

1842 წელს, ოკტომბრის 2-სა დღესა დიდი სიხა-
 რული ყოფილა ჩემი დაბადების დღეს ჩემი მშობლე-
 ბის სახლში, ვინაიდან ამ დღეს მათ შეეძინათ მეოთ-
 ხე ვაჟი შვილი. ნათელღების დროს სახელი დაურქმე-
 ვიათ ჩემთვის დ—თი, მაგრამ მალე ეს სახელი გა-
 დაურქმევიათ და დ—ნს მიძახდენ თურმე. რა მიზე-
 ზით გადაურქმევიათ ნათლობის სახელი არ ვიცი.
 განსვენებულ დედა ჩემს ჰქონდა ერთი ხელთნაწერი,
 რომელსაც უწოდებდენ „ეფუთს“. ამ „ეფუთის“
 შემწეობით დედა ჩემი თურმე ყველას შეუტყობდა

ჩემა თავგადასავალი.



ტყვიან: წინა კაცი უკანა კაცისათვის
 ხილიაო. ის ხალხი, რომელიც თვალ-
 ყურს ადევნებს თავის წინაპართა ცხოვ-
 რებას და მოქმედებას და ყოველივე
 ღონეს ხმარობს მათი ცხოვრების ის-
 ტორიის შესწავლისათვის, ის არაფერში,
 არ შესცდება და საქმე სანანებლად არ გაუხდება. თუ
 შენ შენი წინაპრების ცხოვრებას და მოქმედებას
 დაკვირვებინარ, მაშინ ადვილად ასცდები ყველა იმას,
 რაც შენთვის საფრთხელია და ადვილად შეასრულებ
 ყველა მას, რაც შენმა წინაპრებმა დიდის გამოცდი-
 ლებით და სიმწარით შეიძინეს და შეისწავლეს. ამ
 მხრით ყოველი კაცის ცხოვრების გამოკვლევა შენ-
 თვის, მკითხველო, სასარგებლოა. ყოველი კაცის
 ცხოვრების გამოკვლევა უმეტესად სასარგებლოა,
 თუ იგი კაცი ცხოვრებაში რითიმე შესამჩნევი იყო.

ხოლომე ახლად დაბადებულის ბედ-იღბალს. როგორც გამიგონია, განსვენებული ჩემზედაც იტყოდა ხოლომე: «კარგ დღეს და კარგ მთვარეზე ხარ დაბადებული“-ო. მეხუთე-მეექვსე წლამდე ჩემი ცხოვრების ისტორიის და თავგადასავალის არა ვიცი რა. ხშირად მეტყუოდენ ხოლომე, რომ გასაოცარი კარგი გასახდელი და წყნარი ხასიათის იყავი დასხვა ბავშვებით მტირალა და ჭირვეული ხასიათისა არ ყოფილხარო.

მამიჩემის ოჯახი და თვითონ ჩამომავლობა ჩემი მშობლებისა თუმცა დიდი და შესანიშნავი გვარეულობის ყოფილა ძველიდგან, მაგრამ დროთა ვითარებისა და ძალ-მომრეობისა გამო ბოლოს დაქვეითებულა, მაგრამ ჩვენს სოფელში ჩვენს ოჯახს მაინც პირველი ადგილი ეკავა. ეს უფრო მიტომ, რომ ჩვენი სოფლის ბატონის და პატრონის ოჯახში ძლიერ მიღებული და პატივცემული ყოფილა სასულიერო პირთა შორის პაპა-ჩვენი, როგორც მოძღვარი...

ხუთი-ექვსი წლის ვიქნებოდი სწორედ, როდესაც მამა ჩემი ეკურთხა მღვდლად მიტროპოლიტის დავითას მიერ (გვარათ წერეთელი იყო). როცა მამა ჩემი მღვდლად ნაკურთხი მოდიოდა სახლში, პირველად მე დავინახე, გახარებული გავიქეცი, რომ დედისთვის მიმეხარებია. გაქეუელმა თავი ვედარ შევიკავე და სახლის კედელს ისე დავეჯახე, რომ კინალამ დავშავდი. დღესაც თვალ წინ მიდგია ის სასიამოვნო სურათი, როცა მთელი ოჯახობა დიდის სიხარულით მივეგებეთ მღვდლათ ნაკურთხ მამას...

არ გაუვლია ორ-სამ თვეს მის შემდეგ, რაც მამა ჩემი მღვდლათ ნაკურთხი მოვიდა სახლში, რომ მე ვნახე ერთი შესანიშნავი სიზმარი, რომელიც როგორც მე, ისე ყველა მსმენელებსაც აოცებდა. აი ეს სიზმარი: ჩვენი სოფლის ეკლესიის ახლოს ერთი ნაძვის ხე იყო. ეს ხე ისეთი მაღალი გაზრდილიყო, რომ წვერო მაღლა ცაზე ქონდა მიბჯენილი. ნაძვს ხშირი ტოტები აქვს. მე ავყევი ამ ტოტებს და, ვითომ, ცაში ავედი. მეტის-მეტი სასიამოვნო სანახაობა ვნახე, რომელიც ამ ქვეყნიურს არა ჰგავდა. ორმა ყმაწვილმა კაცმა წამიყვანა და მიმიყვანა ერთ მღვდელ-მთავართან, რომელმაც მაკურთხა მღვდლათ და შემოსა მღვდლის შვენიერი ბრწყინვალე შესამოსლით. მეორე კაცი, მღვდელ-მთავრისავე მსგავსი მომიახლოვდა, მაკურთხა და მითხრა: «ეხლა წადი ისევ ქვეყანაზეო» და ამ დროს კიდევ გამომეღვიძა.

ამ სიზმრის შემდეგ აღარ დამძინებია, ვინაიდან რალაც შიშისა და სიამოვნებისაგან ვიყავი შეპყრობილი. როდესაც დედამ მკითხა მიზეზი ასე ადრე გამოღვიძებისა, მე უამბე მას ჩემი გასაოცარი სიზმარი. დედამ მამა ჩემს უთხრა და მან სთქვა: კარგი სიზმარია, ღმერთმან კეთილად აახდინოსო... დიდხანს არ გაუვლია ამ სიზმრის ნახვის შემდეგ. ერთ დღეს მამა ჩემმა სადილად დაპატიჟა თავის მოკეთენი და ნათესავნი. ამ სადილზე, სხვათა შორის, დაპატიჟებული იყო ორი-სამი მოხუცებული მღვდელი. ნასადილევს მამა ჩემმა ამ მღვდლებს უამბო ჩემი შესანიშნავი სიზმარი და თან ჰკითხა მათ, თუ რასი მომასწავებელი უნდა იყოს ეს სიზმარო. სტუმარმა მღვდლებმა მე თვითონ მომაყოლეს სიზმარი, რომელთაც დაწვრილებით აუწერე მღვდელ-მთავრის სრული შესამოსელი. ჩემ მიერ მღვდელ-მთავრის შესამოსლის აღწერამ ძლიერ გააკვირვა სტუმარი მღვდლები, რადგან იგინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მე მღვდელთ-მთავარი არასოდეს არ მყავდა ნახული. კოტახანს დაფიქრდენ და შემდეგ ერთმა მათგანმა უთხრა მამა-ჩემს: მამაო ბ-ნ! კარგი სიზმარია ეს სიზმარი, ღმერთმან კეთილად აახდინოს. მეორე მოხუცებული მღვდელი კი შეუდგა განმარტებას. «ძლიერ შესანიშნავი სიზმარი უნახავს თქვენს შვილს, უთხრა მან მამა ჩემს. ეს ბავში უთუოდ მღვდლად ეკურთხება ბოლოს, მაგრამ ისეთი არ იქნება, როგორც მე და შენ ვართ, მ. ბ-ნ; ეს სწორეთ შესანიშნავი მღვდელი იქნება ყველა მღვდლებში და სახელოვანი კაცი. დაისწავლე, ბავშო, ეს, მითხრა მან, და მომიგონე, როცა ეს წინასწარმეტყველობა აგიხდეს. მე მაშინ კოცხალი აღარ ვიქნები». ეს სიზმარი და მასთან ეს წინასწარმეტყველობა ამ მოხუცი მღვდლისა ყოველთვის მახსოვდა და დღესაც მახსოვს და რამდენად ასრულდა ეს სიზმარი, ამას ჩვენი მკითხველი თვითონ დაინახავს „ჩვენი თავ-გადასავალი“-დან.



საზოგადოებრივი კურორტების აღწერა

უწმ. სინოდის განკარგულებით ეს მესამედი
გაიმართა კავკასიაში საზოგადოებრივი პედაგოგიური
კურსები. პირველს ორს ზაფხულს იქმნა ორს
ადგილს გამართული, ტფილისში და ქუთაისში
ერთად მასწავლებელ ქალთა და ვაჟთათვის; ხო-
ლო წელს გაიმართა მხოლოდ ტფილისში გან-
სკუთრებით მასწავლებელ ვაჟთათვის. მოწვე-
ულ იქმნა და კდევ ესწრებიან კურსებზედ 54
კაცი. ამათგან 21 კაცი ქართლ-კახეთიდან, 12—
იმერეთის ეპარქიიდან, 15—გურია-სამეგრელო-
დან და 6—სოხუმის ეპარქიიდან. ჩვეულებრივ
კურსები სასულიერო სემინარიის შენობაშია, ბინა
და ხარჯიც აქვეა მოწვეულთათვის. კურსების
ინსპექტორად დანიშნულია ქართლ-კახეთის ეპ-
არქიალური ზედამხედველი სამრევლო სკოლებისა
ნეკოლოზ გაბრეელის ძე ბ-ნი ტატი ვო, ხოლო
მისთან შემწედ—სას. სემინ. მასწავლებელი სტ.
ანდრ. ბ-ნი მურახოვსკი. საგნები: რუსულ-ქარ-
თულ და ანგარიშის ხელმძღვანელებად დანიშნუ-
ლია სას. სემინ. მასწ. ილია ივანეს ძე ბ-ნი ფე-
რადე, სამღრთო-წერილში კი—ხელმძღვანელებად
თითონ კურსების ინსპექტორი ბ. ნ. გ. ტ-
ტივი. უოველს კურსებზედ დამსწრე მასწავლე-
ბელს დანიშნული აქვს სანიმუშო გაკვეთილი
რომელსამე საგანში ზემოდ ხსენებულ ხელ-
მძღვანელთა დანიშნულებით მისაცემად. ამ თვის 14
დგან დაიწყო სანიმუშო გაკვეთილები დღეში
სამ-ოთხ საგანში, ხოლო გალობის გაკვეთილები
დღეში ორი-სამა დანიშნული, რუსულ-ქართულ
იმერულ კილოებისა. მასწავლებლებად გაღო-
ბისა დანიშნულები არიან: რუსულისა მდვადელი
ივ. მიხეილოვსკი, ქართულისა—ბ. სერგო წერე-
თელი და იმერულისა ბ. შარადე. კურსები დაი-

წყო 8 ივნისს. ამ დღეს წირვის შემდეგ სემინა-
რიის რექტორმა არქიმანდრიტმა მ. გერმოგენმა
მიმართა ახლად შეკრებილს (კურსებზე) მასწავ-
ლებელთ სიტყვით და განუმარტათ მნიშვნე-
ლობა კურსებისა. შემდეგ გარდახდილ იქმნა პა-
რაკლისი. პარაკლისის შემდეგ გალობის გაკვე-
თილები დაიწყო, ორი გაკვეთილი რუსულისა
და ქართულ-იმერულ კილოსი. ამავე დღეს მის
მადალ უოვლად უსამღვდელოესის ექსარხოს
ფლავიანესაგან აიღეს დოცვ-გურთხევა. ცხრა-
ში ორი გაკვეთილი რუსულ სლავიანური და
ორი—იმერულ ქართული. 10-შიაც განმეორდა
ეს გაკვეთილები, ხოლო 11-ს ამ თვის პირველ
სამაგალითო გაკვეთილი სამღრთო-წერილში მი-
სცა მღვდელმა მ. ნესტორ მაჭარაშვილმა. მეორე
გაკვეთილი რუსულში მისცა სამაგალითო
სკოლის მსწ. მღვდელმა მ. გორგაძემ, მანამ
მისცა მესამე გაკვეთილი ქართულ ენაში, რომე-
ლმაც, შეიძლება ვსთქვათ, რომ მახწია დანი-
შნულ მიზნს. მეოთხე და მეექვსე გაკვეთილები
მოჭმარდა გალობას, რომელსაც თვით მოწვე-
ულნი მასწავლებელნი სწავლობენ.

12 ივნისს პირველი გაკვეთილი რუსულს
ენაში მისცა ბ. ლაშხაურმა, რომელიც სწორედ
სამაგალითოდ ჩაითვლება. ბ. ლაშხაური უფრო-
სი მასწავლ ბელია ტირძისის ორ კლასიან სას-
წავლებლისა.

აგრეთვე სამაგალითოდ მისცეს გაკვეთილე-
ბი: მეორე ქართულში ბ-მა გორდელაძემ და
მესამე ანგარიშში მდ. მ. გურგენიძემ.

„(ცნ. ფურ.)“

გორის ოლქის სამფლობელოების დეკლარაცია კაპიტალის გამო.

15—18 ივნისს გორის ოლქის სამფლობელოების დეკლარაციებს გორში კრება ჰქონდათ გორის სასულიერო სასწავლებლის შესახებ ხარჯის დასამტკიცებლად. სასწავლებლის უოველ მხრით დაგეგმილებას დიდი ხარჯი უნდება, მაგრამ, სამწუხაროდ, სამფლობელოება იძულებული იყო სასწავლებლის მრავალი საჭიროება დაუგეგმილებელი დაეტოვებინა უსამართლობისა გამო. ჯერ ერთი, გორის ოლქის სამფლობელოებას აწევს 80,000 მანეთი ვალი უწმიდების სინოდისა, რის გასაღებებლადაც უოველ წლივ იხდის 2,400 მანეთს, ე. ი. 8⁰/₁₀₀. ეს ვალი სასწავლებლის შენობის აგებაზე დაედვა სამფლობელოებას. ამას გარდა სასწავლებლის შესახებ ეხარჯება სამფლობელოებას ექვსას თუმანზე მეტი და მთელ გორის სასულიერო სასწავლებლის ოლქში-კი მხოლოდ ას ოცამდე მრევლია. ეს გადასახადი ღარიბ სამფლობელოებათა-ს საკრძობ დია. ვგონებ, არც ერთი წოდება არ იხდის ამდენ ფულს უოველ წლივ სასწავლებლისათვის.

სასწავლებლის შესახებ წყაროები არის ერთის მხრით კრებულებზე და მეორეს მხრით ეკლესიებზე შეწერილი გარდასახადი. ეს უგანასკნელი წყარო, ე. ი. ეკლესიების გადასახადი დამოკიდებულია უმთავრესად სანთლის შემოსავლისაგან. რომელ ეკლესიასაც მეტი შემოსავალი აქვს და მეტი სანთელი უსადდება, იმას მეტი ხარჯიც აწერია. მაგრამ ეკლესიებში სანთლის უიდევის საქმეს ერთი გარემოება უმჯობის ხელს:

ეკლესია უიდელო ს სანთელს ეპარქიის ქარხნის სანთლის საწუობებში გირვანქას მანეთად და ჰუდის ორ მანეთად—თერთმეტ აბაზად, ე. ი. ერთ-ორად. ამ მოგებიდან ეკლესია იკმაყოფილებს თავის საჭიროებას და ისტუმრებს გაღასახადს, რომელიც შეწერილი აქვს სასულიერო სასწავლებლის შესახებ. მაგრამ სანთლის საწუობიდან უველას შეიძლიან იყიდოს სანთელი გირვანქა ექვს აბაზად მარმანდლამდე მანეთათ,

როგორც ეკლესიებს), ამიტომ ხალხი (ვისაც არ ესმის სანთლის მოგების დანიშნულება), ძალიან ხშირად სანთელს საწუობებში უიდელობს და მოქვს ეკლესიაში ასანთებად. ნამეტნავად ასე ხდება ქალაქებში, სადაც სანთლის საწუობები უველას ეხლოვება. ამას გარდა სანთელს უიდელობენ ვაჭრები და ჰუდინ (თუმცა ეს სასტუკად აღკრდადელია) და ამით ამცირებენ ეკლესიის შემოსავალს, ისინი ჰვლეჯენ ეკლესიას მოგებას: თითონ უიდელობენ გირვანქას ექვს აბაზად და ჰუდიან შვიდ-რვა-ცხრა აბაზის კვადობაზე. ეკლესიებში-კი ორ მანეთად იყიდება, როგორც ვთქვით. აი ამ ეკლესიების ზარადის მოსასპობად დეკლარაცია ურილობამ აღძრა საქართველოს ექსარქოსის უოველად სამფლობელოს ფლობიანეს წინაშე უუამდგომლობა, რომ მოისპოს სანთლის გაუიდევა კერძო კაცებზე, ან არა და იმ ფასში მიჰყიდოს იმათაც, როგორც ეკლესიებში იყიდება. მაშინ უველა თავს დაანებებს სანთლის უიდე ს სხვაგან, ეკლესიებს გარდა. ამით ეკლესიების შემოსავალი იმატებს და არც სანთლის ქარხნას უნდა დაკლდეს რამე, რადგან იმ სანთელს, რომელსაც კერძო კაცები უიდელობენ, ეკლესიები გაასადებენ. განსხვავება ძალიან მცირე იქნება.

ეს უუამდგომლობა რომ დაგეგმილებულ იქმნას, საჭიროა გორის მაზრის სამფლობელოებას სხვა მაზრების სამფლობელოებამაც მოსცეს მხარი, რადგანაც სანთლის საქმე მთელ ეპარქიას შეეხება, და ამ ნაირად ერთის ძალ-ლონით დაგვარგვინდება საქმე. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ დონისძიებით ეკლესიებში სანთლის შემოსავალი ერთი-ორად და ერთი-სამად იმატებს (ქალაქებში კი მეტადაც) და ამ ნაირად ღარიბ სამფლობელოებას საშუალება მიეცემა რამდენიმედ დაიკმაყოფილოს თავისი მრავალ-გვარი საჭიროებანი, (ივერია“)

„მწყემსის“ კორამსკონდენცია

სოფელ ამაღლებიდან

ს. ამაღლება მდებარეობს ქუთაისის მაზრაში, ქ. ქუთაისიდან სამხრეთით. ქუთაისიდან ამ სოფელამდე 25 ვერსი იქნება. წარსული მაისის თვის 27 რიცხვს სხუნებული სოფლის ეკკლესიის დღესასწაული—ამაღლება იყო. ამ დღეს ეკკლესიაზე მრავალი ხალხი იყო შეკრებილი მანდაბელი სოფლებიდან უძველესის 12 საუფლო ხატის მოსალოცად. წირვა დაიწყო ათი საათის ნახევარზე და გათავდა 12-ის ნახევარზე; ღვთის-მსახურება შესრულდა ადგილობრივ მღვდელმა მ. იაკობ მაჭავარიანმა. წირვის შემდეგ მლოცველები წარდგენ 12 საუფლო ხატის წინაშე შესაწირავებით. მღვდელი შეუდგა შეწირულებათა ჩამორთმევას და შემწირველთა დალოცვას. როცა მღვდელმა გაათავა იუფლისა და სანთლის მიღება, სხუნებული ხატი, რომელიც შესამჩნევი სიდიდის არის, რამდენიმე კაცმა აასვენა და გამასვენა ეკკლესიიდან, შემდეგ ეკკლესიას კარს შემოუარეს ლიტანიითა; ლიტანიას წინ მიუძღოდა მღვდელი. ხატი დაასვენეს ეკკლესიის დასავლეთის კარებთან ზირდაზარ; აქ წამოაყენეს შესაწირავი ხარ-მოხვერ-ცხურები. საქონელი შესწირეს უმეტესად თ. ერისთავებმა. მღვდელი მიიქცა ხატისადმი შემდეგი სიტყვებით: „ამა და ამ თავადიშვილმა შემოგწირა ხარი, რომელიც მას მართებია და მიეცი მშვიდობა მას და მის ოჯახს, გარედ გათხოვილს და შინ მოყვანილს“. ასე დალოცა შერეულ შემწირველი, მესამე, მეოთხე და სხვ. როგორც შევიტყუე, ამდენი შესაწირავი არც ერთ მანდაბელ ეკკლესიას არ მიუღის. ამ ცერემონიის შემდეგ, თითქმის, ხატის შესვენებაც ვერ მოასწრეს ეკკლესიაში, რომ სხუნებული ეკკლესიის მრევლმა—გლეხობამ, რომლებიც, ვგონებ, კახკებ ამისთვის იყვნენ მოსულნი, დაიტაცეს ხატისადმი შეწირული საქონელი. ბოლოს გავიგე, რომ ეს საქონელი უნდა დააკლას სახალხოდ და ეკკლესიას არაფერი არ ეძლევათ. ამ გარემოებამ ძლიერ გამაოცა. დღეს ეველგან ეკკლესიების შეწირულებათ დიდი ურანდლება აქვს მიქცეული, რადგან ამისთანა შეწირულებათა შეტყობით იფარება სხვა და სხვა ეკკლესიური ხარჯები. ალბად სხუნებული ეკკლესიის მნათემ არ იცის თავისი დანიშნულება, თორემ მას იმავე დღეს უნდა მოესდინა სახალხო ვაჭრობა და ის შეწირული საქონელი იუფლად ექცია. იმ დღეს ეკ-

კლესიას დაეკარგა, სულ რომ მცირედ დავაფანო, 30 მან., და თუ შეწირული იუფლიც ხალხს დაურიგდება, ამ შემთხვევაში სხუნებული ეკკლესია 50 მანეთამდისაც დაეკარგავს. ამ შემთხვევას დაესწრო ადგილობრივი მამისხლისი, რომელსაც ერთი სიტყვაც არ ამოუღია ეკკლესიის სასარგებლოდ და ეკ. კრებულს ხომ სულ კრინტიც არ დაუძრავს. ამ გარემოებას ურანდლება უნდა მიაქციათ როგორც ეკ. კრებულმა, ისე ადგილობრივმა ბლადონმა. რასა ჰგავს ეს? ხატს შესაწირავი მიუღის და ამ შესაწირავს კერძო კაცი იტაცებს. უმჯობესია, რომ კრებულმა მაინც მოიხმაროს, თუ ეკკლესიას არ მოახმარებენ. ამისთანა შემთხვევა სხუნებულს ეკკლესიას უთუოდ მრავალი ექნებოდა. იმედი მაქვს, რომ დღეიდან ჯეროვანია ურანდლება მიექცევა ამ საქმეს, რომ სხუნებული ეკკლესიის შემოსავალს რიგანი დანიშნულება მიეცეს.

ახალი ამბები და შენიშვნები.

აღმოჩნდა მეტად საინტერესო მასალა იმის შესახებ, რომ ამ საუკუნის 1820 წლებში რომში, პაპის კარდინალთა შორის ქართველთ გვარის გამოჩენილი კარდინალი ყოფილა ივანე ლეონიძე. ამ კარდინალის ცხოვრებას ჩქარა გავაცნობთ მკითხველებს.

* * *

სამეაფვილო ჟურნალი ჯეჯილი. ჩვენ მივიღეთ საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი ჯეჯილი შემდეგი შინაარსით: I დილა ლექსი— დ. თომაშვილისა—II კვირის სათვალავი (ფრანგულიდან)—კნ. ან. ამილახერისა—III პურის მარცვლები (დასასრული)—ლოუარსაბ ციციშვილისა—IV მკოსანი პუშკინი (რუსულიდან)—მ. დემურისი—V მებაღური და ოქროს თევზი პუშკინისა (თარგმანი)—რაფ. ერისთვისა—VI თავგასულობის შედეგი (ფრანგულიდან)—ან. წ—ისა. VII მოვარე და გიჟი ლექსი—შ. მღვიმელისა—VIII ახალი თევზოსი (დასასრული) ეკ. მ—სა. IX ძველი საბერძნეთი (შემდეგი) თარგმანი კოტესი—X სამნი ძმანი ზლაპარი რუსულიდან—ი. ზედგინიძისა—XI თათრის მეფე ვასსანი—ბეს. ვაშაძისა—XII წვრილმანი: ხალხური ლექსი, გამოცანები, აკროსტიხი, ეპიტეზისი, უჯრების ამოცანა, რებუსები და სხვა.

* *

28 ივნისს, დილის 9 ს. და 35 წ., აბასთუმანს ღვთივ განისვენა მისმა იმპერატორებითი უღმრესო-
 ლესობამ, მემკვიდრე ცესარევიჩმა და დიდმა მთა-
 ვარმა გიორგი ალექსანდრეს ძემ. სამეფო ოჯახის
 მწუხარება თავზარს დასცემს ყველა ერთგულ ქვე-
 შვერდომთ ჩვენი ვრცელი სამშობლოსას. ჩვენ, სა-
 ქართველოს მცხოვრებნი, რომელთაღმი ამსამწუხარო
 ამბავმა ყველაზე ადრე მოაღწია, სხვებზე უღრმესად
 ვგრძნობთ ამ სამწუხარო ამბავს, მომეტებულად იმი-
 ტომ, რომ ღვთივ განსვენებული დიდი მთავარი,
 რომელშიაც დაიბუდა საშიშარმა სენმა, აგერ შვიდ
 წელზე მეტია, რაც ჩვენ მხარეში ცხოვრებს, სადაც
 ჩვენ ყველანი ვსასობდით, რომ უაფგუსტოვის ავად-
 მყოფი განიკურნებოდა.

მაგრამ აბასთუმნის მშენიერმა ჰავამ ვერ დაი-
 ფარა დიდი მთავრის ძვირფასი სიცოცხლე, არ შე-
 ისმინა უფალმა ჩვენ ცოდვილთა ვედრება ცესარე-
 ვიჩის განკურნებას შესახებ. ღღეს ჩვენ სულ სხვა
 ვედრება უნდა აღვაფლინოთ უფლის წინაშე, რათა
 უფალმა საუკუნო განსვენება მისცეს ღვთივ განსვენ-
 ებულს და მოუვლინოს უზენაესმა მალი ნუგეში
 უაფგუსტოვის სამეფო ცოლ-ქმართ და მის უმალე-
 სობას მქვრივ იმპერატრიცა-დედას.

მიზეზი მემკვიდრე ცესარევიჩის ყველასათვის
 სამწუხარო გარდაცვალებისა ისა ყოფილა, რომ ყე-
 ლიდგან უცბად სისხლი წამოსქდომია. ტახტის მემ-
 კვიდრედ დანიშნულია მისი უნცროსი ძმა, დიდი
 მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე.

დეკრეტი. ჰეტერბურგი. უმაღლესი მანიფესტი.
 წყალობითა ღვთისათა, ჩვენ, ნიკოლოზ მეორე,
 იმპერატორი თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა,
 მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა,
 და სხვათა, და სხვათა, და სხვათა, ვუცხადებთ ყვე-
 ლა ჩვენთა ქვეშევრდომთა.

ამა ივნისის 28ს-ა ღღესა, აბასთუმანს გარდა-
 იცვალა საყვარელი ძმა ჩვენი მემკვიდრე ცესარევიჩი
 და დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე. იმედი
 იყო, რომ სენი, რომლითაც მისი იმპერატორებითი
 უმაღლესობა იყო შეპყრობილი, დაძლეულ იქნე-
 ბოდა დაწყებულ წამლობისა და სამხრეთის ჰავის
 გავლენისაგან. მაგრამ უფალმა სხვაფრივ განსაჯა.
 უღრტინველად ვემორჩილებით რა განგებულებასა
 უფლისასა, მოვიწოდებთ ყველა ჩვენთა ერთგულთა
 ქვეშევრდომთა გაიზიარონ ჩვენთან ერთად გული-
 თადი ურვა ჩვენი და გულმოდგინე ვედრება, რათა
 განუსვენოს სულსა ჩვენის მიცვალებულის ძმი-
 სასა.

ამიერიდგან, ვიდრე ღმერთი არ ინებებს კურ-
 თხევასა ჩვენსა და ვაჟიშვილი არ დაგვებადება, უმა-
 ხლობედესი უფლება სრულიად რუსეთის ტახტის
 მემკვიდრეობისა, ტახტის მემკვიდროების სახელმწი-
 ფო ძირითად კანონის საფუძველით, ეკუთვნის უსა-
 ყვარლესსა ძმასა ჩვენსა დიდს მთავარს მიხეილ
 ალექსანდრეს ძეს.

ბოძებულია პეტერგოფს 28-სა ღღესა ივნისი,
 სასა, ქრისტეს დაბადებითგან 1899 წ., ხოლო მე-
 ფობისა ჩვენისა მეხუთე წელსა.

ნამდვილს მისის იმპერატორებითი უდიდებუ-
 ლესობის საკუთარის ხელით აწერია:

„ნიკოლოზი“.

ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოების ღირებულება რობიმი, 14 ივნისს, პირადად თავისთვის, სთხოვა ქალაქის გამგეობას, ნება მომეცით ავიყვანო რკინის გზა მთაწმინდის სერზედაო. გზაზედ ივლის 2 ან 4 ვაგონი. გზის წარმოება უნდა დარჩეს რობის ხელში 45 წლის ვადით, რის შემდეგ გადავა ქალაქის საკუთრებად. გზა დაიწყება ქალაქის წყლის მიღების აუზიდან. მთაწმინდის სერის შუაზედ გაიმართება სადგური ვაგონების შესახვედრად, ხოლო უკანასკნელი სადგური იქნება სერზედ „განდევითან“. გადასახადი შუა სადგურიდან ზედამდე და ქვედამდე იქნება 10 კაპ. კაცზედ, ქვედა სადგურიდან ზედამდე 20 კაპ., იქიდან 15 კ., ხოლო აქედან და იქედან 30 კ. ერთის ფუთის ბარგის წალბა ელირება 5 კაპ., ვაგონები ივლიან 15 მარტიდან 15 ნოემბრამდე. კონცესიის ვადის გასვლამდე რობი ჰპირდება ქალაქს 1 პროცენტს მთელ შემოსავლიდან. ის აცხადებს, რომ მას სათანადო მთავრობის წინაშე უკვე შეუძღვომლობა აღუძრავს ამ საგნისა და კიდევ იმის შესახებ, რომ ეს გზა გაიყვანოს კოჯორამდე.

ამასთან ბ.ნი რობი აღნიშნავს, რომ მთაწმინდის წვერი, რომელიც მტკვრიდან 1,200 ფუტის სიმაღლეზედ არის ამართული, მშვენიერი სააგარაკო ადგილია, კოჯორზედ უკეთესი. რობის განზრახვა აქვს, აგრეთვე აიყვანოს მთაწმინდის წვერზედ წყალი, გამართოს იქ ბაღი და საზაფხულო თეატრი, როტონდა და სხვ.

სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა, განყოფილება.

საეჭვო კითხვების განმარტება.

კითხვა. ზენისა დამსახურებული მღვდელი, რომელიც დათხოვნილია შტატკარეთად თავისი თანამდებობის სუსტად ცოდნის გამო, შეიძლება თუ არა თანაშემწედ იუფლიოს შტატის მღვდელმა მთავრობის ნებადურთველად?

მიგება. შტატ კარეთად დათხოვნილი მღვდლის თანაშემწედ დაყენება არ შეუძლია შტატის მღვდელს და ისიც ნებადურთველად. შტატ კარეთ მღვდელს შეუძლია ზოგიერთი მიუტილებელი და სჭირბ მღვდელ-მოქმედებათა შესრულება, მაგალ. ზიარება და საიდუმლო ნათლისება და ისიც მაშინ, რადესაც რაიმე კარემებისა გამო შტატის მღვდელი თავის სამრევლოში არ იმყოფება. თუ შტატის მღვდელი შინ იმყოფება, შტატ კარეთად დათხოვნილ მღვდელს, რომელიც დათხოვნილია განსაკუთრებით თავის მოვალეობის სუსტად ცოდნის გამო, არავითარი მღვდელ-მოქმედების შესრულების ნება არა აქვს.

კითხვა. მუცელ მოშლილ ქალს შეესვლელება თუ არა ეპკლესიაში 40 დღემდის და ვალდებულაა იგი თუ არა, რომ ეპკლესიაში მივიდეს მეორეც დღეს და დაწესებული ღოცვა წაუკითხოს მოძღვარმა?

მიგება. არ შეუძლია ეპკლესიაში შესვლა ორმაც დღემდის და ღოცვაც სარმაცო დღისა ისე სჭირბ, რგორც მშობიარე დედაკაცისათვის.

კითხვა. რგორ უნდა მოხმარონ ძველი ხის ეპკლესიის შემდეგ ხანა ეკ. აკების?

მიგება. ძველი ეპკლესია თუ ეპკლესიათვე არ გაიყიდება, შეშად უნდა მოხმარონ ხანა ეპკლესიის გასაბობად. ასე უნდა მოექცენ ტრანჰეზის ფიცარსაც. ტრანჰეზის ფიცარი ან თუ ტრანჰეზი ქვის იყო, უნდა დამარხონ იმ ადგილას, სადაც იყო ტრანჰეზი და ტრანჰეზის ადგილას ჯვარი დასონ და ირგვლივ ამ ადგილას დობე უნდა შემოავლან, რომ უბრალოდ კაცის ან საქონლის ფეხით არ ითველებდეს.

კითხვა. რა ჯილდო ეძლევა შედავითნეს 50 წლის სამსახურისათვის?

მიგება. შედავითნეს, რომელიც გაუსვრელად და ერთგულად მსახურებდა თავის თანამდებობაზე 50 წელიწადი, ეძლევა კანონით ოქროს მედალი, რასაკვირველია, თუ მისი სამსახური დამოწმებული იქნება სასულიერო მართებლობისაგან.

კითხვა. შეუძლია თუ არა მღვდელს ცხოვრება კარეში თავის სამრევლოისა 15 ვერსტის საშორეზე?



მიგება. ჩვენის აზრით ეს საკითხავი არ არის და უკუ-
ლამ უნდა იცოდეს, რომ ეს შეუძლებელია.

კითხვა. სახელმწიფო დღესასწაულ დღეებში როდემდის
არ შეიძლება მიცვალებულის დამარხვა?

მიგება. სახელმწიფო დღესასწაულ დღეებში არ შეიძლება
კარდაცვალებულთა წესის აკება და დამარხვა წინა
დღის მწუხრის დროიდან თვითონ დღესასწაულის
დღის მწუხრამდე.

კითხვა. საჭიროა თუ არა ჩვეულებრივი საბუთები მე-
დავითესათვის, რომელიც ჯვარს იწერს ისეთ სა-
რეგლოში, სადაც მას ვერ იცნობენ?

მიგება. სადაც უნდა შესრულდეს ჯვარის წერა მედავი-
თნეზე, უკუღვან საჭიროა ყოველგვარი საბუთები
და მოწმობები გვირგვინის კურთხევის შესრულე-
ბისათვის, არა მიმხედველი იმისა იცნობენ მას
თუ არა.

კითხვა. მღვდელს შეუძლია თუ არა გვირგვინი უკურ-
თხოს მედავითნეს, რომელსაც აქვს მარტა ადგი-
ლობითი ბლაღოჩინისკან ქადაგი, რომელშიაც
სწერია მხოლოდ ის, რომ მედავითნეს ნება ეძლევა
მღვდელ-მთავრისკან გვირგვინის კურთხევისა და
რომელშიაც სხვა ცნობები მედავითნის წლოვანება-
ზე და სხვაზე არ იმეჭნება.

მიგება. მღვდელ-მთავრისკან მიცემულ მოწმობაში წლო-
ვანება უნდა იყოს მოხსენიებული, და თუ ეს არ
სწერია, რასაკვირველია, ეს ცნობები თვითონ მე-
დავითნემ უნდა წარუდგინოს გვირგვინის მაკურთ-
ხებელ მღვდელს.

კითხვა. ანდრძის და ზანაშვილის შესრულების დროს
და საზოგადოდ ყოველ იმ შემთხვევაში, როდესაც
ღვთის-მსახურების დროს მიცვალებულთათვის
წარმოითქმის კვერქსა, — იგალობება „უფალო შე-
იწყალო“, თუ როგორც ყოველ სხვა დროს, ე. ი.,
„უფალო შეგვიწყალო“?

მიგება. უნდა იგალობონ „უფალო, შეგვიწყალო“.



განცხადებანი.

**უწმიდეს სინოდის სამეურნეო სამმართველო-
სკან**

ფინანსთა მინისტრმა 13 იანვარს ამა წლისა
მე-23 ნომრით, აცნობა ბ. სინოდალურს ობერ-პრო-
კურორს შემდეგი: „უმაღლესად დამტკიცებულის
29 აპრილს 1896 წ. სახელმწიფო საბჭოს ჰაზრით,
სხვათა შორის, დადგენილ არს: უკანასკნელს ვადად
გამოსაცვლელად 1887 წლის ნიმუშის ოც-და ხუთ
მანათიანის, ათ მანათიანის და ხუთ მანათიანის ქა-
ლალდის ფულისა დანიშნულ იქმნას 31 ქრისტეშო-
ბისთვე 1899 წლ., ისე კი, რომ ამ ვადის გასვლის
შემდეგ ქალალდის ფული 1887 წლის ნიმუშისა
აღარ მიიღებოდეს სახელმწიფო ხარჯის გადასახდე-
ლად და აღარც კერძო პირებისთვის იყოს სავალ-
დებულო მათი ხმარება.

ასეთი უმაღლესი ბრძანების გამო, იმ ჰაზრით,
რომ ხსენებული დადგენილება სახელმწიფო საბჭოსი
1887 წლის ნიმუშის ქალალდის ფულის გამოცვლის
უკანასკნელ ვადის შესახებ, უფრო ძლიერ გავრცე-
ლდეს ხალხში, დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკი
ვიტტე სთხოვს მოხდენილ იქმნას განკარგულება,
რომ განცხადება ზემოთ თქმულ ვადის შესახებ
ყოველ თვე იბეჭდებოდეს «საეკლესიო უწყებათა»
და „საეპარქიო უწყებათა“ ჟურნალში ვადის გას-
ვლამდის, და რომ სამრევლო მღვდლებს მიენდოთ,
სადაც-კი შეიძლება, განუმარტონ, აუხსნან ხალხს
კერძო საუბრის საშუალებით გამოცვალონ საჩქაროთ
1887 წლის ნიმუშის ქალალდის ფული ოც-და-ხუთ
მანათიანი, ათ მანათიანი და ხუთ მანათიანი.

ფინანსთა მინისტრის ამ მოწერილობასთან გამო-
გზავნილ იქმნა საეკლესიო და საეპარქიო უწყებათა
გამოცემებში დასაბეჭდად ყოველ თვიურად შემდეგი
განცხადება:

ფინანსთა მინისტრისკან

სახელმწიფო საბჭოს 1896 წლ. 29 აპრილს
უმაღლესად დამტკიცებულის ჰზრის თანახმად, უკანა-
სკნელ ვადად 1887 წლის ნიმუშის ქადაგდის ფულის
ოც-და-ხუთ მანათიანის, ათ მანათიანის და ხუთ მა-

ნათინისა, რომელიც გამოვიდა 1888 წლ. 25 მაისს. უმაღლეს ბრძანების თანახმად, დანიშნულ არს

31 ქრისტეშობისთვე 1899 წლისა.

ამ ვადის კასელის შემდეგ ქადაგდის ფული 1887 წლის ნიშუშისა აღარ მიღებულ იქმნებთან სხედმწიფო ხარჯის გადასახდელად და აღარც კერძო ზიარებისთვის იქნება სხვადასხვა მათი ხმარება.

ნაშნები ქალაქის ფულისა ოც-და-ხუთ მანათიანის, თუმანიანის და ხუთ მანათიანისა, რომლის ხმარება მოსპობილ იქმნება 31 ქრისტეშობისთვის 1899 წელსა:

ფულის ზედა ზიარის სურათი დაბეჭდილია სქელი ლურჯი წამლით მხიარულ მიხაკისფერს ადგილზედ დაბეჭდის წელიწადი აღნიშნულია ფულის ზედა პირის ქვემო ნაწილზედ ხუთ მანათიანზედ (1894 წელს აქეთ აღარ არის) მარცხნივ, ათ მანათიანზედ (1892 წელს აქეთ აღარ არის) და ოც-და-ხუთ მანათიანზედ —(1887 წლისაზედ) შუაგულს ადგილს.

ფულის მეორე პირზედ არის სიგანის სურათი სახელმწიფო ბეჭდითურთ შუა ადგილს, მხვილ ციფრებით მარცხნივ და მანიფესტიდამ ამოღებულ სიტყვებით—მარჯვნივ და დაბეჭდილია:

ხუთ მანათიან—ლურჯი წამლით (საღებავით).
ათ მანათიან—წითელი წამლით.

ოც-და-ხუთ მანათიანი—სოსანის ფერი წამლით.

ფინანსთა მინისტრის ასეთი მოწერილობის შესახებ სამეურნეო განყოფილებას, სინოდალურ ობერ-პროკურორის განკარგულების თანახმად, აქვს პატივი გამოაცხადოს სასულიერო უწყებაში ჯეროვან განკარგულებათა მოსახდენად.

ქართლ საავათმყოფო აგზულატორიით, **ს. ბ. თოფუჩიასი.**

ს. ბ. თოფუჩიასი.

ქ. ქუთაისში.

საავათმყოფოში დგას ორმოცი საწოლი. ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავათმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავათმყოფებს მიიღებს

მ. ს. ბ. თოფუჩია.

ხირურგიურ შარდით სიფილისით და თვალების ავათმყოფობისათვის.

მ. ფ. კ. ბერაბი.

დედაკაცურ ავათმყოფთა და საბებიო ქალი.

მ. მ. ფ. კოზანი.

რჩევა დარეგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა საავათმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. აზერაციის ფასი გარეგებაზეა.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფუჩია.**

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტერატურო განყოფილება: სიბრძნე, მისი საჭიროება ზნეობრივ განვითარებისთვის, მისი ხასიათი და მისი განვითარების საშუალებანი.—იმერეთის ეპარქიის სამღვდელთა დეპუტატების საგანგებო კრება ქ. ქუთაისში მაისის 31 და ივნისის 1 და 2 რიცხვებში.—დღევანდელი გაჭირვებული მდგომარეობა საეკლესიო სანთლის ქარხნებისა სანთლის ცვილის გაჭირვების გამო.—ჩემი თავგადასავალი.—საზაფხულო პედაგოგიური კურსები ტფილისში.—გორის ოლქის სამღვდელთა დეპუტატთა კრების გამო.—„მწყემსის“ კორესპონდენცია სოფ. ამაღლებიდან.—ახალ ამბები და შენიშვნები.

საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება: საეკლე კითხვების განმარტება.— განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ლამბაშიძე.**

Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 30 июня 1899 г. ♦ Цензоръ прот. **Е. Е л и е в ъ.**

Типог. редакци журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Хапановыхъ, на Нѣмецкой ул.